დანართი

„დამტკიცებულია“
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის
2023 წლის 13 თებერვლის №5 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელის - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის (შემდგომში - უმაღლესი საბჭოს აპარატი) იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების პროფესიული საჯარო მოხელე - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შემდგომში - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი) უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო მოხელისათვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითად და სპეციალურ მოთხოვნებს.

2. პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (იურიდიული) - ბაკალავრის ხარისხი (სასურველია - მაგისტრის ხარისხი);

ბ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ბ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ.ბ) საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“;

ბ.გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;

ბ.დ) საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;

ბ.ე) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

ბ.ვ) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;

ბ.ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“.

ბ.თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი;

ბ.ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულება;

გ) კომპიუტერული პროგრამის - Microsoft office Word ცოდნა;

დ) იურიდიულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 (ორი) წლის გამოცდილება.

3. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სასურველია ფლობდეს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რომელიმე სხვა ევროპულ ენას - B1 ან B2 დონეზე.